წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის ოქმი №5

ქ.წალენჯიხა 2019 წლის 18 მარტი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 23 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია, დალი კვარაცხელია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ლევან შელია, თეა ხასაია, ბაჩუკი უბილავა, ნონა მიქავა, ელგუჯა მესხია, დათა აკობია, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.

საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა დავით ბელქანია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი ბესიკ ფარცვანია, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 12: 35 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი:

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: **ჯემალ კვარაცხელია,** მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის,ურბანიზაციის და მშენებლობის სამსახურის უფროსი

მოისმინეს: 1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მერიის ინფრასტრუქტურის,ურბანიზაციის და მშენებლობის სამსახურის უფროსმა ჯემალ კვარაცხელიამ.
აზრი გამოთქვეს:
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დარეჯან დადიანმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ნოჟალას მოსახლეობის არაერთი მოთხოვნისა სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში არ იქნა თუ ვერ იქნა გათვალისწინებული ნოჟალას ხიდ-ბოგირის მოწყობა, ასევე ნაკას უბანში ლამპიონების მოწყობა და მაგანის ხიდის განათება.
ქ.ნ დარეჯან დადიანმა აღნიშნა, რომ პროექტებიდან მორჩენილი ეკონომიის ხარჯზე აუცილებელია განხორციელდეს დამატებით ახალი პროექტების შედგენა მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.

მუნიციპალიტეტის მერმა ბესიკ ფარცვანიამ განმარტა , რომ ეს პროექტები სხვა პროგრამით იქნება დაფინანსებული.

საკრებულოს თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მომხსენებელს მიმართა შეკითხვით სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში მოსახლეობის მიერ შერჩეული ობიექტები როგორიცაა კერძო მფლობელობაში არსებული წისქვილები და ერთერთ სოფელში შესასვლელი ჭიშკარების შეღებვა ხომ არ მოდის წინააღმდეგობაში ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებასთან.

ამ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერის რწმუნებულმა ქ.წალენჯიხის ადმინისტრაციულ ერთეულში ტარიელ ჯანჯღავამ განმარტა, რომ ლუღერას უბანში არსებული წისქვილი არ არის განთავსებული კერძო მესაკუთრის მიწაზე.

მომხსენებელმა ჯემალ კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ ობიექტების ჩამონათვალი შედგენილ იქნა მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი 1- ელგუჯა მესხია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 9).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია